ა ნ ო ტ ა ც ი ა

კლიმატის ცვლილება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

კლიმატის ცვლილების შედეგად, იცვლება ბუნება და ეკოსისტემები , იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი , ეპიდემიები.

მეტეოროლოგიური პირობების ცვლილება მძფრად აისახება ეკონომიკურ სექტორზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება კლიმატისა და ამინდის ცვლილებისადმი ძალიან მგრძნობიარეა.

ზოგადად, კლიმატის ცლილების მთავარი უარყოფითი ეფექტი სოფლის მეურნეობაზე შეიძლება იყოს:

- ✓ ბიომრავალფეროვნების დაკარგვა;
- ✓ აგრო-კლიმატური ზონების გადანაცვლება;
- ✓ უმეტესი კულტურების მოსავლის შემცირება გვალვების, ძლიერი ქარების, ართანაზომიერად გადანაწილებული ნალექების, სეტყვიანი დღეების, თბური ტალღებისა და აორთქლებადობის ზრდის შედეგად.
- ✓ სასოფლო-სამურნეო მიწების ნაყოფიერების შემცირება და დეგრადაციის ინტენსივობის ზრდა, რასაც ხშირად კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ინტენსიური ექსტრემალური მოვლენები (მეწყერები, ღვარცოფები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ა.შ.) უწყობს ხელს;
- ✓ მოსავლის დანაკარგის ზრდა ექსტრემალური ამინდის გახშირების შედეგად (სეტყვები, წაყინვები და ა.შ.);
- ✓ გასარწყავებული მიწების ფართობის შემცირება და სარწყავ წყალზე მოთხოვნილების ზრდა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი კვლევების წინ წამოწევა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი კომპონენტები შევაფასოთ კლიმატის ცვლილების რისკებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს ადაპტირებული სტრატეგიის შემუშავებას.

ამგვარად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლიმატიგონივრულის სოფლის მეურნოების დანერგვას, რომელმაც უნდა უპასუხოს სამ ურთიერთგადამკვეთ გამოწვევას: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოებისა და შემოსავლების გაზრდის გზით, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილების ხელშეწყობა.